საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1056-03
19/07/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის დაწესებული სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდიის გაუქმების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, პროფესორ სტივენ ჯონსის N11879-35; 05.07.2023 . სამსახურებრივი ბარათის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 6 ივლისის N4 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის N12598-35 18/07/2023 წარდგინების საფუძველზე, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N1475-03; 16/08/2021 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. გაუქმდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის დაწესებული სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდია, მასში ამ ბრძანების გამოცემის მომენტისთვის აკუმულირებული ფინანსური სახსრების ამოწურვის შემდეგ.
2. ფინანსური სახსრების ამოწურვამდე, სტიპენდიის გაცემა მოხდეს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N1475-03 16/08/2021 ბრძანებით დადგენილი წესით.
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს აღნიშნული ინფორმაციის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის, პროგრამის სტუდენტებისათვის გაზიარება.
5. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს,

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, სტივენ ჯონსს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი